


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 28 ივლისი 6 1897 წ. № 28

შინაარსი: პოლიტიკური მითქმა-მოთქმა ოსმალეთში.—სხვა-და-სხვა ამბები.—საქართველოს ისტორიის მასალა თ. ჟორდანიასა.—„კვალის" კორესპონდენციები.—პროვინციის ვითარება (შემდეგი) პროვინციელისა.—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია XX-სი.—გზა და გზა (შემდეგი) ია ეკალაძისა—თავმომწონეობა ილ. იკოთელისა.—ტირაჟი და ქალაქის განცხადება.

„კვალის" და „ჯეჯილის" ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვინც ფულს არ შემოიტანს 1 ივლისამდე, მათ გაზეთის გზავნა მოესპობათ.



აია სოფიის ტაძარი მეჩეთათ გადაქცეული სტამბოლში.

## პოლიტიკური მითქმა-მოთქმა ოსმალეთში.

### II.

რამდენიც ხორცით მჭლეა კაცი, იმდენათ სულით ძლიერიაო, იტყვიან და მართლაც. დღეს რომ ოსმალეთის ხვანთქარს შეხედოს კაცმა, ვერ იფიქრებ, თუ ამ კაცს ძვალისა და ტყავის მეტი რამე აქვს, მხოლოთ ის მაინც ყოჩაღათ არის. ბევრგან გაიგონებთ, ხვანთქარს საშინელი ავათმყოფობა—წყალმანკი, აქვს, ხელ-ფეხი და ტანი დაბერილი აქვს, ნემსებს უყრიან და წყალს აღენენ სხეულებიდანაო. სიმართლეა თუ არა, ეს საინტერესო არც კი არის, მხოლოთ ის კი ღირს-საყურადღებოა, რომ მისი ავათმყოფობა მას ვერ აბრკოლებს. მორჩილი ქვეშევრდომები ყოველ პარასკევობით ხედევენ მას სალამლიკზე. ყოველცისმარად დღეს ზის ის მის საუცხოეო-ილდიზ-კიოსკის სალონში და საქმეებს უყურებს. კარგათ რომ ჩაუფიქრდეს კაცმა, ამ კაცის მდგომარეობა, საქმე და გამძლეობა, მართლა რომ გასაკვირვებელია. ის ჯერ, რაც ტახტზე ზის, ავათ, ისე რომ საწოლში ჩავარდნილიყოს, არვის ახსოვს. ყოველივე საქმე, ყოველივე საკითხი და საპასუხო

მის ხელში უნდა გაიდეს, დღეში—სულ ცოტა რომ ვთქვათ—ათასი მარტო ჟურნალი (დანოსი) მოუვა, ერთი ამდენი და სხვა საჭირ-ბოროტო საქმეები, ის ავათ, თუ კარგათ, ყველას პასუხს აძლევს, ყველას აკეთებს: მის სარაიაში, ცოტა რომ ვთქვათ, ათასზე მეტი მოხელე არის, ამათ შორის ასზე მეტი იქნება დაახლოვებული, რომლებიც თითქმის ყოველ დღე მასთან არიან. რაც უნდა თქვას, ან რაც უნდა იფიქროს მან, ის წმინდათა-წმინდა არის. ამ მრავალ რიცხვოვან მის საკუთარ მოხელეებში ერთსაც ვერ იპოვნი, რომ სიტყვა შეუბრუნოს მას. ყველა „ჯამი-ტლაკიები“ არიან, ყველა „ბალი უსტას“ ეუბნებიან მუსულმანთა კანონით. რომც ესმოდეს რომელსამეს რამე, მაინც ვერას გაბედავს, მაინც უნდა დაეთანხმოს ყველაფერზე. სულ ტყუილია ის აზრი, ვითომ, რომელიმე მოხელეს მასთან პოლიტიკაში განმაელობა ქონდეს, ამ საგანში უპირველესი ადგილი უჭირავთ ზოგიერთ ევროპის ელჩებს. იმათაც კი სულთან ჰამიდი ჯარასავით ატრიალებს, ხან ერთს აკმაყოფილებს ლიტონი სიტყვებით, ხან მეორეს. მის მახლობელ მოხელეებში, თუ ვინმეს რამ განმაელობა აქვს მაზე, ეს მარტო ეკონომიურ—მატერიალურათ. მაგალითათ მიელენ და თხოვენ მას, „ბატონო ეს და ეს მაიორი პოლკოვნიკობის ღირსია და თქვენი ბრძანება-ღა ეჭირვებაო. სამხედრო მინისტრს არ შეუძლია ან მოუმატოს ვისმე ჩინი, ან გამოცვალოს—ან ადგილი შეუცვალოს, ერთი პოლკიდან მეორეში გადაიყვანოს. ყველა და ყოველ საქმეში იმას უნდა დაეკითხოს. იჯარა, რკინის გზის კონცესია, მონოპოლია რისამე და ამისთანაების ნება-რთვა, თვით მისი ირადე თუ არ არის, ისე არვის მიეცემა. და, აი, აქ სარგებლობენ; მასთან დაახლოვებული ხალხი ეტყვის მას, ირადეს გამოაცემიებს და ამისათვის ღებულობენ აუარებელ ფულებს. ბევრს, წინეთ უკაპეიკო საწყალს უპუნურსა და უვიცს მატყუარა თათარს შეხვდება აქ კაცი, რომელიც სულ რამოდენიმე წელია, რაც რაღაც საშუალებით სასახლეში ჩავარდა. ეს შემთხვევა კი მეტ ნაწილათ ფანტასტიკურია, მოაგონებს რამე საუცხოვო სიზმარს, ან დაირქმევს საიგავო სახელს; ამას მაშინვე შპიონები შეატყობინებენ ხალიფს და ისიც მოისურვებს ნახვას, ხან კი ლამაზი გოგოების წყალობით ხდება ეს. მხოლოთ ამ რამოდენისამე წლის აქეთ ლამაზ გოგოებს იმდენი განმაელობა აღარ აქვს, რადგან ხალიფი 50 წელს გადაცილდა და არც ბევრი დრო დარჩა გოგოებთან დროსტარებისა და აღარც ღონე. ახლა უფრო სიზმრებს და სახელის გაურცხვებას აქვს მნიშვნელობა. ეს უკანასკნელნი კი განსაკუთრებული სისწრაფით მდიდრდებიან. ბევრი ამათგანი ახლა მილიონის პატრონები არიან.

ყოველ დღე კაცი აქ საკვირველებას ხედავს. ეს ამ რამოდენიმე დღის წინეთ, აი, რა თქვა ერთმა თურქმა, რომელსაც დიდ კონახებში საქმეები აქვს. ლაპარაკი ჩამოვარდნილა, რომ ტრაპიზონში მომხდარ არეულობის დროს, ვითომ იმდენი კაცი არ მომკვდარიყოს, რამდენსაც ამბობენ—ამაზე უთქვამს ერთ თათრის ქალს ჰარემში ყველა მართალიაო, რასაც ჩვენზე ამბობენ. მე განა არ მახსოვს ალიბეგის სიტყვები, რომელიც აქედან გაგზავნეს ერთ ვილაეთში გუბერნატორათ იმ პირობით, რომ იქაური ეპისკოპოსის ყურს გამოვგზავნი სულ ცოტა ხანშიო და მართლა გამოუგზავნია. ყური საძაგელი სანახავი, აყროლებული ყოფილიყო თურმე.

სახუმროთ არ გაგულდიდდენ თათრები. ამ დღეებში გაჯავრებულან იმაზე, რომ ვითომ გერმანელების წყალობით და მათი გაწვრთვნილი ჯარის მიზეზით მოიგეს ომი. როგორც ხმა დადის, ისინი ძალიან ცუდი თვალით უყურებენ აქაურ გერმანიის მოხელეებს. იმას აბრალებენ, ვითომ ამ სიძულვილის მსხვერპლი გამხდარიყო გერმანელი ზექი-ფაშა, რომელიც ამ ერთი კვირის წინ მოკლეს ქალაქს გარეთ, სოფელ ფერქოიში.

ყოველ შემთხვევაში გერმანიის კონსტრუქტორები დიდ სარგებლობას აძლევენ ოსმალეთის ჯარს, თუმცა დღეს რომ ოსმალეთის წეს-რიგი ამნაირი არ იყვეს, ყოველივე მოქმედება რომ სულთანის ხელში არ იყოს, თათრების ჯარის კაცთა უფროსებიც შეძლებდენ გერმანელების ადგილის დაჭერას. ახლა ბევრნი მოიძებნებიან ახალ თაობაში კარგათ განათლებული აფიცრები, „ერქანი ხარბები“; მაგრამ უფლება მოკლებულნი ვერ ახერხებენ ამ საქმეს. ყველა გერმანელ კომანდირს აქვს თავისი საკუთარი პროგრამა მოქმედებისა, რომელშიაც ვერვინ გაერევა და იმას როგორც უცხოს მეტი ნდობაც აქვს, რადგან—ცხადია, გერმანელი მოჯამაგირეა—და მან თავის საქმე იცის, სხვა კი ფეხებზე ჰკიდია. ის ასრულებს თავის განსაზღვრულს მოვალეობას, ის მოქმედობს ისე, როგორც საუმჯობესოთ ხედავს. ადგილობრივი კი ასე ვერ მოახერხებს, მას არც ნდობა აქვს იმდენი და არც იმდენათ თავისუფალია. როგორც თათარი და მონა ხალიფის, მას არ შეუძლია ჯარი ათამაშოს, რამე მანევრა, ან სავარჯისო საგანი შემოიღოს; ყველა ამაებისთვის ირადე, სულთანის ბრძანებაა საჭირო. ყველა დარწმუნებულია, რომ ეთჰემსა და მის ინსპექტორს სეიფულა ფაშას სტამბოლიდან ბჟირივით მიყრილი დეპეშებისთვის დაეჯერებიათ, რომლებიც დღეში ასობით მიუდიოდათ „ასე ქენი, ისე ქენიო,“ უეჭველათ წააგებდენ.

დღესაც სასიამოვნოს ვერას მოისმენს კაცი აქ,

ყოველგან შიშსა და განსაცდელს ელიან. გაზეთები სავსეა სხვა-და-სხვა ილუზიონური აზრებით ყველა ევროპიულს ჟურნალ-გაზეთებში და ხშირათ რუსეთისაშიაც შეხვდებით გაზეპირებულ სიტყვებს „ჩვენი შეერთებული დიპლომატია ძლიერ დიდ ნაბიჯს ადგამს წინ აღმოსავლეთის დამშვიდებაშიო“. ეს გვესმის აგერ ათი წელიწადი სრულდება და საქმით კი ერთი უშველებელი სახელის „Рѣзня-ს“ ხოცვას მეტი ვერა შესძინეს რა XIX საუკუნეს; ერთი მხრით იწერებიან მადლობა ღმერთს ახლა დავარწმუნეთ სულთანი, რომ ის შემცდარია, თუ მას ჰგონია ჩვენი შეუთანხმებლობაო, მეორე მხრით უკვე მიხვდა სულთანი, რომ ჩვენ ყველა საერთოთ ვმოქმედებთ ყველასთვის სასიკეთოთაო. აი, დღეს თუ ხვალ გათავდება—მოაწერს სულთანი ხელს მორიგებაზეო აქ კი ყველა ამაებს სასაცილოთ იღებენ, ოსმალნი ასე ტუტუცნი ნუ ჰგონიათო, გაიძახიან. „საიდან სადაო, წმინდა საბაო“. ბერძნის მორიგება თათართან სრულიად არ არის აღმოსავლეთის კითხვის გამასწორებელი. წინაამდეგ—ის აჩერებს მხოლოთ „Рѣзня“-ს, გამეორებას, საერთაშორისო ომის დაწყებას. თუ რომ ბერძენ-თათართა მორიგება მოხდა, რაც ჯერ საეჭვოა, ისე როგორც ზოგიერთ ევროპის სამეფოს სურს, ეს სადავო „ვაშლი“ გახდება დავიდარაბისა. ამას ამტკიცებს ჩუმი სულთანის „ირადები“. ორი ირადე გამოვიდა შესახებ ომის თადარიგისა—ერთი—დაინიშნოს საგანგებო კამისია დასათვალიერებლათ სახელმწიფო საჯარო მოწყობილებათა საწყობებისა: წამლისა, ზარბაზან-თოფებისა და ცხენების რაოდენობისა და ღირსების გასაძლიერებლათ. ყოველ დღე მოჰყავან რუსეთსა და უნგრიიდან ცხენები. ერთი საინტერესო სიტყვა გავიგონე გუშინწინ ერთი პოლკოვნიკისაგან.—გემიდან ცხენები გადმომყავდაო—თქვა მან, ეს ცხენები ოდესიდან მოვიყვანეთ. იქვე იდგა ერთი რუსის მუჟიკი და მკითხა ეს ცხენები რისთვის მოგყავთო.—ჯარისთვისო მივუგე მე.—ჰმ... თქვა მან. ჩვენგან მოგყავთ ცხენები და შემდეგ ჩვენი ცხენებით ჩვენვე უნდა გვეჩხუბოთო, ჰა!..—გამოიცა მეორე ირადე—მოგროვდეს 280 თაბორი რედიფი (თაბორი ომის დროს 850 კაცია) და 80 ათასი ქურთის კავალერია იყოს მზათაო—ეს მცირე აზიის საზღვრებზე; და ას ორმოცდაათი ათასი ჯარის კაციც მიემატოს ბალკანეთის ნახევარ კუნძულების საზღვარზეო—კაი დაგემართოსთ, კაი აღმოსავლეთის დაწყნარება ეს იყოს.

(შემდეგი იქნება)

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ს. ჭალა, ყვირილის ხეობაში. ამ სოფელთან მდებარებს დიდი მამული აზნ. წერეთელ-აბაშიძეებისა და სხვ., სახელათ „ჭალის მთა“. აქ გამოჩნდა შვენიერი მადნის წყლები: მჟავე წყალი, რკინის და გოგირდის წყლები. ანალიზმა დაამტკიცა, რომ ეს წყლები გაცილებით უმჯობესია ბორჯომისა და ჟელეზნოვოდსკის მადნის წყლებზე. დიდი ხანი არ არის, რაც გ. ე. წერეთელმა დაარსა ამხანაგობა სხვათა შორის ამ მადნის წყლების წარმატებაში შესაყვანათ. ამხანაგობამ განუვალ ხეობებში და ტყეებში დააკეთა ხიდები; ხოლო გზა ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებით უნდა გაკეთდეს მცხოვრებლების შემწეობით, რადგან ამ ხეობიდან გასული გზა გორის მაზრის მთის ხეობებში, განსაკუთრებით ბარის ოსეთში, ძალიან წინ წასწევს ალებმიცემობისა და მრეწველობის წარმოებას ორ მემეზობლე მაზრებში: თვით ჰავა, მდებარეობა და მცენარეობის სიმდიდრე ბუნებისა მდიდარ მადნის წყლებთან ერთათ უქადის ამ მხარეს ბრწყინვალე მომავალს. ამ საზაფხულოთ ჭალის მადნის წყლებზე დაკეთდა აბანოების შენობები; მხოლოთ აკლია გზა და ადგილობრივი ადმინისტრაცია, იმედია, იმდენათ გულ მხურვალეთ მოეკიდება გზის გაყვანის საქმეს, რომ წელსავე შეეძლებათ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა, რომელნიც აბასთუმანს, ბორჯომს და კისლოვოდსკს მიისწრაფიან და ერთი ათათ უფრო ძვირათ უზისთ ცხოვრება და ექიმობა, ამ ახლოს მდებარე და უკეთესი თვისების მადნის წყლებზე მიბძანდენ ზაფხულის გასატარებლათ და საექიმოთ. დავარწმუნებთ ავათმყოფებს, რომ ჭალის მთის მადნის წყლებზე უფრო იაფიც იქნება ცხოვრება და უფრო მორჩენილიც დაბრუნდებიან თავიანთ ოჯახებში. მხოლოთ საჭიროა, მოვაგონოთ ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელებს: საჩქაროთ გზა მიიყვანონ ჭალის მადნის წყლებამდის.

*
* *

ამბობენ, ამ ჟამათ თფილისის პოლიციის არხივი იშინჯებაო პოლიცმეისტრის თანაშემწის ტატიშვილის მიერო. მიუცილებლათ ამ არხივში ბევრი ძვირფასი ისტორიული მასალა იქნება საქართველოსა და მისი დედა-ქალაქის გამგეობის შესახებ მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან დაგროვებული. რასაკვირველია, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ ვინ იქნება ყურის მგდებელი, რომ დააფასოს ხოლმე ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა. ამ ბოლო დროს

არა მკითხე ჩვენი ლიტერატურის და მეცნიერების მზრუნველნი განზრახ უთითებენ ანბანის მცოდნე კაცებზე და დაწესებულებებზე, რომ ისინი გახდენ ყოველი ცოდნის წყაროთ და იზრუნონ ასეთ მძიმე საქმეებზეო. საწყალო ქართულო ჟამიერო ლიტერატურა, როდის გეღირსება ავლანებისა და ზულუსების ტყვეობიდან თავის დაღწევა?

***

ამ დღეებში ეჩმიაძინის სინოდს მოსვლია ოფიციალური განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცაო სახელმწიფო რჩევის შემდეგი გადაწყვეტილება სომხურ ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიაზე, სასულიერო სემინარიებზე და სამრევლო სკოლებზე: 1) სომხის სამრევლო სკოლები, რომელნიც აქამდის სომხის სამღვდელოების ხელში იყვნენ, ამიერიდან უნდა ჩაბარდენ განათლების სამინისტროს დაწესებულებათა; სომხის სამღვდელოების ზედამხედველობას ქვეშ იქნება მხოლოთ სარჯულო რჯულის სწავლება; 2) სომხის კონსისტორიებს და სასულიერო წოდებას აღარა ეკითხებათრა არც მასწავლებლების განწესებისა ამ სკოლებში, არც იმათთვის ჯამაგირის დანიშვნისა; 3) ხოლო სომხის სემინარიები და აკადემია კი ისევ უწინდულ წესისა და რიგისამებრ უნდა განიგებოდენ.

***

ყარსის რკინის გზის გაკეთებას ძალიან აჩქარიან.

***

ოზურგეთიდან მოვიდა ამბავი, რომ იქ ქალაქის სასარგებლოთ უნდა დააწესონ ახალი გადასახადი წამყვან-წამომყვანელებზე და საქონლის წამლებწამომლებლებზე:

***

გაზეთ. „ახალი მიმოხილვა“ (Нов. Обоз.) გვატყობინებს სასიამოვნო ამბავს, ვითომც ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი, აკადემიკოსი ივანე თარხნიშვილი, აპირებდეს საზღვარგარეთიდან თფილისში დაბრუნებას, სადაც იმას განზრახვა აქვსო მთელი სექტემბერი გაატაროსო. ეს ამბავი მით უფრო სასიხარულოა ჩვენთვის, თუ გამართლდა, რომ მისი მოსვლა ჩვენი თფილისელი საზოგადოების გონების განვითარებისათვის უნაყოფოთ არ ჩაივლის, რადგან სახელოვანი მეცნიერი საერო ლექციებს წაიკითხავს რომელიმე მეცნიერების დარგიდან.

***

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში წელს ქართველ მოწაფეთა პირველათ დაუსრულებიათ კურსი და, როგორც ამბობენ, თავისი სწავლა კარგათაც შეუთვისებიათ. სკოლის უფროსობა უჩივის, რომ მოწაფეთა დედმამას სამოსწავლო ფული არ შემოაქვთო.

ამ საგნის განსასჯელათ შეკრებილა არა ჩვეულებრივი სხდომა ქუთაისის სამეურნეო განყოფილებისა და იქ გადაუწყვეტიათ, რომ ახალ კურსდასრულებულ მოწაფეებს, ვინც კი ისურვებს თავის ოჯახში მეურნეობის შემოღებას მეცნიერულ ნიადაგზე, უნდა მიეცესთ საჩუქრათ გაუმჯობესებული სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღები.

***

„ახალი მიმოხილვა“ (Нов. Обозр.) გვაცნობებს, რომ მომავალი სეზონისათვის შედგა ახალი ამხანაგობა, რომელსაც ჰსურს ითავოს და გააწყოს ქართული წარმოდგენები. ეს სასიამოვნოა მით უფრო, რომ ჩვენმა თეატრის მოიჯარადრეებმა, რომელნიც იყვნენ უწინ ცნობილნი მსახიობები და ცდილობდენ ქართული დრამატული ლიტერატურის და წარმოდგენების ხელის შეწყობას, ახლა სულ აიღეს მაზე ხელი და ქართული მელპომენა რუსული „კაფეშანტანის“ მოტრფიალეებზე გადაცვალეს, ალბათ ოქროს მამონის თაყვანისცემისთვის; მაგრამ სამწუხაროთ მამონის კერპიც ხელიდან გაქცევიათ და დარჩენილან კუდამოძუებულნი. ვგონებ, თვით ჩვენი ტაძარი სამსახიობო ხელოვნებისა გამცემლებს აღარ მიიღებს. ბევრით ჯობია ქართულმა ხელოვნებამ ახალი ჭეშმარიტი ხელოვნების მსახურნი მოძებნოს, რადგან ერთხელ ვინც უმტყუნა ხელოვნებას, იმის წინაშე მელპომენის ტაძარი სამარადისოთ იქნება დაკეტილი.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ სიონის ტაძრის მუზეუმი არხიმანდრიტ მამა ლეონიდ-სთვის ჩაუბარებიათ. ჩვენ მამა ლეონიდს ვიცნობდით განვითარებულ და ჩვენი წარსულის გულ დასმით შემსწავლელათ ვიცნობთ, რომ ამ ამბის გაგონება ყოველი ქართული ისტორიის მკვლევართათვის ფრიად სასიამოვნო და სანუგეშო უნდა იყოს, რადგან ამიერიდან ამ მუზეუმში უფრო კარგი წესი დამკვიდრდება და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის მუზეუმის კარები აღარ იქნება ჩაკეტილი, როგორც აქამომდე იყო.

***

ახალი ას მანეთიანი ბილეთები დაუმზადებიათ და მალე გამოსცემენ სახმარებლათ.

***

კიდევ რა არის ახალი ამბავიო?—მეტყვის მკითხველი.—სულ ახალი ამბავი გახლავთ თ. სახოკიას გამგზავრება ალჟირის ქვეყანაში, რომ იქ საჰარის უდაბნოში გადაკარგული ქართველები მოგვიძებნოს და საქართველოში მოგვიყვანოს. ეს დიდი საქმე უტეიროთნია ერთ ფრიად დიდი ენერგიის მქონე რედაქციას, ამ ამომავალს ვარსკვლავს საქართველოს ლიტერატურისას, და დაუვალებია ეს საქმე ერთ თავის „უსაზღვრო ენერგიის“ მქონე თანამშრომლისთვის. ამას ჰქვია „შინ რომ ბავშებს გშიოდეს, მაშინ ტაბლებს გარეთ უნდა ეზიდებოდეო“. ვთქვათ, ვინმემ ჩვენ საზოგადოებას მისცა ასეთი წინადადება: საქართველოს მიყრუებულ სოფლებში ძალიან საჭიროა ზაფხულობით წავიდენ ჩვენი განვითარებული ახალგაზდები, რომ მოძრავი სკოლები გამართონ და ოჯახებში ასწავლონ ახალ-მოზარდ თაობას ქართული წერა-კითხვაო, ავრცელონ აგრეთვე ხალხში სახალხო წიგნების კითხვაო. დარწმუნებული ვარ ამ წინადადებისთვის ერთ ბისტსაც არავინ გაიმეტებს; ხოლო ალჟირში, ამერიკაში და ავსტრალიაში ჩვენი დაკარგულების საძებრათ კი ფულსაც ბევრს შეაგროვებენ და „ბუზი-ბზუილაც“ ბევრი გამოჩნდება იქ გასაფრენათ. ამისგამო, ცოტა არ იყოს, ეჭვი შევეპარა ბ. ი. მ—იანის წინადადებაზე შესახებ ალჟირში ბ. თ. სახოკიას გაგზავნისა.

ამან ერთი ძველი ამბავი მოგვაგონა: ერთმა პოლიციელმა განიზრახა ვინღაც მოუსვენარი კაცის თავიდან მოშორება. მისი დავიდარაბისაგან თავმობეზრებულს პოლიციელს არც დღე, არც ღამე ძილი არ ჰქონდა. ბოლოს ეს პოლიციელი წავიდა სხვა პოლიციის ნაწილში თავის მეგობარ კაცთან და თხოვა, თუ ძმა ხარ, ერთი ღარიბი ბიძაშვილი მესტუმრა და ერთ კვირას შემინახე უსასყიდლოთ, შენთან უნდა გადმოვასწავლოვო. იმანაც უთხრა: ბატონი ბძანდებიო. ხოლო იმ ნაწილის პოლიციელი კი გააფთხილა შემდეგნაირათ: შენ ნაწილში ერთი ფრიად საშიში ავაზაკი გადმოვა ამა-და-ამ ჩემ მეგობარ კაცთან საცხოვრებლათ და მიიღე ზომა, რომ სადმე გადაჰკარგოვო. იმანაც უთხრა: ბატონი ბძანდებიო. ბოლოს ამ მოუსვენარ კაცსაც იგივე პოლიციელი ესტუმრა და თანაგრძნობით უთხრა: ამა-და-ამ პოლიციის ნაწილში ერთი ჩემი მეგობარი კაცია, რომელიც სტუმრის შენახვაში არავითარ სასყიდელს არ ითხოვსო. მოუსვენარმა კაცმა იფიქრა: „თუ შენი არა გეხარჯებოდეს-რა, ლხინს ნურა გირჩევნია-რაო“, ერთ საღამოს შეჰკრა თავის ბარგი-ბარხანა და გადაესახლა მეორე პოლიციის ნაწილში. იქ, რაც მოუვიდოდა, თვითონ იცი, მკითხველო. როდესაც პირველმა პოლიციელმა შეიტყო მოუსვენარი კაცის გადაბარგება მეორე პოლიციის განყოფილებაში და იქ მისი ანდერძის აგება, დამშვიდებულმა სასოებით პირჯვარი გამოისახა და წარმოთქვა: გმადლობ შენ ღმერთო, რომ ის „ბუზი-ბზუილა“ თავიდან მომაცილეო.

ნეტა ვიცოდეთ, ბ. ი. მ—იანს თ. სახოკიას შესახებაც ხომ ასეთი ხრიკი არ მოუნდომებია?..

## საქართველოს ისტორიის მასალა.

კოკის სოფლის წმიდა გიორგის ეკლესიაში ვნახე ამ ჟამათ ერთი ძველი ღვთის-მშობლის ხატი. დაწერილია ხატის გვერდზე ხუცური—ასო მთავრულით მხედრული ასოებით. როგორც მიამბეს იქაურმა მოხუცებულებმა, ეს ღვთის-მშობლის ხატი უნახავთ „წამხარიის“ *) ეკლესიის ნანგრევებში და მოუტანიათ ახლანდელ კოკის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც ამ ჟამათ არის. ამასთანავე მიამბეს, რომ ხატზე წარწერაში მოხსენებული მანუჩარ შარვაშიძე ძვირფასი ოქროს კუბოთია დასაფლავებულიო „წამხარის“ ეკლესიის უბანში, მაგრამ სად, რომელ ადგილზე არის, არ ვიცით; სასაფლაო არ ჩანსო. ხატზე წარწერა ამოვიკითხეთ, ძლივს როგორც იქნა, სრულათ და გიგზავნით რედაქციაში. ხატი ძველია, ისიც უპატრიურათ არის ეკლესიაში და შეიძლება მომავალში სულ დაიკარგოს თავისი წარწერით. ამისთვის საჭიროთ დავინახე ამ ზე-წარწერის ამოკითხვა და გამოგზავნა დასასტამბავათ

თ. ჭიჭინაძე.

### წ ა რ წ ე რ ა.

ქ. დედაო ღუთისა ჩვენისა მაცხოვრისაო, ქალწულ მარიამ, შენდავე ალვიმსთობ მსახურებად, რომ ალმიღე მონა ესე შენი და მყავ მრავლისა განსაცდელისაგან ხსნილი და კეთილ დღეობასა და ბედნიერებისა შემთხვეული, რომლისათვის კვალადვე

*) „წამხარი“, როგორც მიამბეს, აფხაზეთის ერთი სოფელთაგანია.

თ. ჭ.

მოწყალებითმან მოხედვამან შენმან მომცა სული მე მონასა შენსა შარვაშიძეს მანუჩარს, რათამცა ეკლესია ესე წამხარისა მრავლის წლითგან და მრავლის დღითგან დაცემული და დატოვებული და დარღვეული ალმეშენებინა და განმეახლებინა და ვითარ განვიზრახე, მყის ვიწყე განახლებად და მრავლითა ღვაწლითა და ხარჯითა გარდავხურე და განვაწყობინე შინაგან დ გარეგან, ვითარცა ტაძარი ღუთისა დ მივიყვანე მწყემსთმთავარი ჩვენი დ სულიერი მამაჩემი—ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლ დ ვაკურთხებინე საყდარი ესე სახელსა ზედა ღვაწლით შემოსილისა წმიდის გიორგისათა და დავაყენე ხუცესნი მწირველი მლოცველად და მსახურად ეკლესიისა ამის და შევწირე მოჯალაბე კოჩაია ცხადაია თავის ცოლ-შვილით მსახურათ ამა ეკლესიასა ზედა მღუდელთათვის; ხოლო წმიდა ესე ხატი შენი მოვაჭედინე და დავსდევ ამავ ეკლესიასა შინა სიმრთელედ და მშვიდობად ჩვენდა და მეუღლისა ჩემისა დადიანის ასულისა ქეთევანისა და ძეთა ჩვენთა მრავალ-ჟამიერობად ამავე ქვეყანასა შინა და შემდგომ სიცოცხლისა ჩვენისა მოცემად ჩვენდა რომელს განუმზადე მოყვარეთა თვისთა ამინ წელსა ჩყიბ.

ყ-დ წმიდაო დედა ღვთისა შეიწყალე ამ ხატის მამკობი მეუნარგია პეპუ..

კოკის ეკლესიაშივე იმყოფება ბარძიმფეშხუმი, რომელზედაც აწერია შემდეგი:

ქრისტე შეიწირე შენსა წამხარისა ამის საკურთხეველისა შინა სირმისა ბარძიმფეშხუმი ჩვენდა ცოდვათა მოსატევებელად და მეუღლისა ჩემისა დადიანის ასულის ქეთევანისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა სიმრთელად. ამინ. შარვაშიძე მანუჩარ. წელსა ჩყიბ.

თ. ჟიჟინაძე.

## „კვალის“ კორესპონდენცია.

ქ. ქუთაისი. ამ დღეებში მომეცა შემთხვევა მენახა ქუთაისში ბ. ივანე მამაჯანოვის მიერ გამოგონილი პურის სალეწ-სანიავებელი მანქანა, სახელად „კავკაზი“. სალეწი მანქანები ევროპა-ამერიკაში ფრიად ბევრი სისტემისაა, ხოლო იქაური მანქანები ლეწვენ მარტო პურს, ბზის საკეთებელი მანქანა კი მეორეა. ბ. მამაჯანოვის ორიგინალურ მანქანაში კი ეს ორივე თვისება შეერთებულია; ე. ი. ერთსა და იმავე დროს კიდეც ლეწავს, წმენდს და ანიავებს პურს და კიდეც ჭრის და არბილებს ბზეს. ამგვარი ხასიათი მანქანისა ფრიად საყურადღებოა ჩვენ მემამულეთათვის. მანქანა დღეში აკეთებს 150 ფუთ პურს და 300 ფუთ ბზეს. შეუძლია მეტიც გააკეთოს.

შარშან ნოემბერში ეს მამაჯანოვის მანქანა გაუშინჯავს ქუთ. სამეურნეო საზოგადოების განყოფილების მიერ არჩეულ კამის-ას და უცვნია იგი მეტად სასარგებლოთ (ამის შესახებ იხ. „Новое Обозрѣніе“ 19 ნოემბრისა 1896 წ. და გაზ. „Кавказское сельское хозяйство“. № 150. 1896 წ.). ამ მანქანის შესახებ ბ. ი. მამაჯანოვმა უკვე ითხოვა მთავრობის წინაშე პრივილეგია, რის შესახებ მიიღო კიდეც განცხადება და ელის დღითი დღე თვით პრივილეგიას. ახლა აპირობს გაურიგდეს მექარხნეებს და ჩამოასხას მანქანები. ამ მოკლე ხანში, ე. ი. ივლისში ბ. მამაჯანოვი აპირებს თავის მანქანის ჩატანას გორში და თფილისში და სურს იქ აჩვენოს ხალხს და საზოგადოებას იმ მანქანის მუშაობა და უპირატესობა ჩვენებურ კევრთან და სხვა მანქანებთან შედარებით. იმედია ჩვენი მემამულენი მიაქცევენ ამას ჯეროვან ყურადღებას და ეცდებიან კარგათ ჩაუკვირდენ და შეიძინონ, შედარებით ზომიერ ფასათ, მათთვის ფრიად საჭირო პურის სალეწ-სანიავებელი და ბზის მკეთებელი მამაჯანოვის მანქანა *)

ს. ქვარიანი.

* * *

ქიზიყი. მეაბრეშუმეობა ქიზიყში უწინ ძალიან ყოფილა გავრცელებული, რასაც, სხვათა შორის, ისიც გვიმტკიცებს, რომ შეძლებული ოჯახი ქალს ისე არ გაათხოვებდა, რომ თოფობით თავთა (დარაია) არ გაეტანებიათ მზითევში. ბოლოს დროს ჭიის სხვა-და-სხვა გვარმა ავათმყოფობამ ისე შეავიწროვა ხალხი, რომ თითქმის სრულიად თავი მიანებეს ამ საქმეს. ხალხს არ ჯეროდა, რასაკვირველია, და ახლაც თითქმის არ ჯერათ, რომ ჭიას აქვს რამე ავათმყოფობა, რისგანაც იგი უდროვო-დროს კვდება, ხოლო მიზეზის თავისებურათ ახსნა კი მოუწადინებია და შეუთხზავს ასეთი ლეგენდა. „წინა დროს ძალიან ყოფილა ჩვენში აბრეშუმის მოყვანა, მაგრამ იმ დროს, როდესაც ლეკები გვიკლებდენ ხოლმე ერთხელ იმ წუნკალებს მოუტაცნიათ და ახლათ გამოყვანილი ჭია კოკლუბით **) წაუღიათ. ამას შემდეგ ჩვენი ქართული თესლი გადასულა ლეკებში. ჩვენ ხეირი ვეღარ ვნახეთ, იმათ კი კარგი აბრეშუმი მოჰყავთ... მაგრამ ახლა ის ჩვენებური თესლი ისევ

*) ვთხოვ პატივცემულ რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ თავიანთ გაზეთებში.

**) ფუნესაგან გაკეთებულ კეცებს ეძახიან.

ჩვენში გადმოდის; ამის გამო ჭიაც უბრალოთ აღარ გეიფუჭდება“... ლეგენდა თავისთვის იყოს, და მართლა ამ უკანასკნელ დროს, უფრო კი წელს ხალხმა ისევ მოჰკიდა ხელი მეაბრეშუმეობას და ძალიან მადლიერიც არის, რომ დავიწყებულ ხელობას ისევ იბრუნებს.

მერე ვინ ავრცელებს ხალხში კარგი ჯიშის და რიგიანათ მომზადებულ თესლს? ვიღაცა ზოკები.

წელს მთელი ქიზიყი დაუვლიათ ამ კაცებს და კარგი ჯიშის ჭიის თესლი დაურიგებიათ იმ პირობით, რომ მოსავლიდან მესამე იმათთვის უნდა მიეცათ, თანაც უთქვამთ, რომ ჭია ოცს დღეზე დაიწყებს პარკის კეთებას, თუ ბევრს აჭმევთო (რაც დიდი სიცრუეა). პარკი რაც დაგირჩებათ თქვენ, იმასაც წავიღებთ, თუ ფუთს 8 მანეთათ მომცემთო. ჩვენმა სოფლელებმა არავინ მისცა, ძალიან იაფიაო, და თვითონ ამოახვიეს უწინდულათ საძაფეთ, თუ აბრეშუმათ გასაყიდათ.

გლეხობა ძალიან ემადლიერება ზემოხსენებულ ზოკებს თესლის სისაღისათვის, მაგრამ ამას კი ამბობენ, რომ ძალიან ბევრი მიეეცითო.—შემდეგ თუ მოიტანა ვინმე მესამედს თავის დღეში აღარ მივცემთო.

როდესაც მე ვუთხარი ზოგიერთა ჩემს ნაცნობებს, რომ შეიძლება მაგაზე უფრო უკეთესი თესლიც გამოვიწეროთ გაზაფხულზე თფილისიდან 50 კაპ. მისხალი მეთქი,—დიდათ გაუხარდათ და ახლავე დამავალეს გაზაფხულისათვის თესლის გამოწერა.

ჩვენ განზრახვა გვაქვს გაზაფხულზე მთელი ქიზიყისათვის გამოვიწეროთ საუკეთესო ჯიშის ჭიის თესლი, ხოლო შემდეგ, თუ ხელი მოგვემართა და კარგათ წავიდა პარკის მოყვანის საქმე,—შეიძლება დავაარსოთ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის განყოფილება (სრული ამხანაგობა თუ ვერ მოვახერხეთ), რათა ჩვენში მოყვანილი პარკი და აბრეშუმი ჩალის ფასათ არ დარჩესთ მაწანწალა მოვაჭრეებს.

ი. გ—რი.

***

სოფ. წყალტუბო, გოგირდის წყლები. წყალტუბოს აბანო დიდ ხალხს ვერ მოიწვევს. ტანსაბანი აუზები, რომლებშიაც წყალი ამოჰქუხს, არ იწმინდება და არ ირეცხება; ამის გამო მომსვლელნი უკმაყოფილოთ რჩებიან. ამასთავე ყოველი მომსვლელი მშიერი რჩება, რადგან აქ არა იშოვება რა. მართალია წყალს დღეში სამჯერ ცვლიან და საბანაო აუზებს კიდევაც რეცხვენ; მაგრამ უკეთ მოგეხსენებათ: „საზიარო ყანას ცუდი ფერი ადევსო“. ამ ზემოხსენებული აბანოს საქმეც ეგრეა: წერილი მონაწილე ბევრი ჰყავს, თვარა როგორც ორი-სამია, ისე რომ იყვეს ყველა, მაშინ სხვა არის; მაშინ აბანოს არემარე უფრო სხვაფრივ იქმნებოდა მორთული. ახლა კი პატარა მონაწილეები დიდებს ასე ეუბნებიან:

„შე, დალოცვილო, საქმე არ გაქვს! რა დროს აბანოს მორთვა-გალამაზებაა, როდესაც ეს დღევანდელი ორი კაპეიკის შემოსავალი ასე მეჭირვებაო“. რას იქმონენ ეს უკანასკნელები? ძალა-უნებურათ უნდა გაჩუმდენ.

ხოლო რაც შეეხება ავათმყოფთა მეორე უკმაყოფილების მიზეზს,—ის მოსპო აზნ. კირილე იოსელიანმა თავისი მეცადინეობით. ამ პატივცემულმა პირმა, აბანოს მეპატრონების ნება-დართვით, ერთ პატარა შენობაში მოათავსა (შენობას კი ვერ ვაქებთ) „რესტორაცია“, რომელშიაც ბევრნაირი საჭმელები კეთდება მოთხოვნილებისამებრ. ეს პატარა სახლი მხოლოთ გარედან თუ მოგაგონებსთ უწინდელს, თვარა ახლა შესვლისათანავე ჰგრძნობთ რაოდენსამე სიწმინდეს და სიფაქიზეს. მარჯვნივ ზემოხსენებული შენობისა გამართა მან სათონე, სადაც რაჭველი ხელოვნურათ აცხობს პურს. წინეთ მართალია დიდი შეწუხებული იყო სტუმარი: ჯერ ეს, რომ ხორცს ქუთაისიდან თუ ჩამოიტანდა, თვარა აქ ვერ იშოვიდა მეორეთ ის უნდა ვთქვათ, რომ ყოველ დღე ვინ ჩამოუტანდა ქუთაისიდან ხორცს. კიდეც რომ ჩამოეტანათ, ვინ დაამზადებდა აქ სამზარეულოსა და მცოდნე კაცის უქონლობის გამო?! ახლა კი აქ გაჩარხულია საქმე: რასაკვირველია, საჭმელები კეთდება ხელოვნურათ და ყოველი დამზადებული კერძი ფასობს ისე რიგიანათ, როგორც ქუთაისში მინახავს ორ-სამ პატიოსან რესტორაციაში.

—სონი.—

***

სოფ. შემოქმედი. (ოზურგეთის მაზრა). „კვალის“ № 24-ში არის დასტამბული საყვედური ვიღაც შემომწირველთაგანისა, იმის შესახებ, რომ ბ. ირ. ერქომაიშვილმა ჭიათურაში მოაგროვა ოც-და-ათ მანეთამდე შემოქმედის წიგნთ-საცავის სასარგებლოთ და არ ვიცით, ეს ფულები გაიგზავნა დანიშნულებისამებრ თუ არაო. სიმართლის გამოსარკვევათ უმორჩილესათ გთხოვთ ამ ჩემ მცირე წერილსაც ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალ „კვალის“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში. ჩვიდმეტ აპრილს ბ. ირ. ერქომაიშვილმა ჭიათურიდან მართლა ჩამოიტანა ფულები (19 მან.) და სიაც, რომელზედაც ხელი ბევრს მოეწერა, მაგრამ ფული მთლათ სიაში მო-

ხსენებულ ჯამს არ ესაბამებოდა. ბ. ერქომაიშვილმა თქვა, რომ ყველას ჯერ არა აქვს შესრულებული ფული; დამიტოვა ის ცხრამეტი მანეთი, რომელიც უკვე მიელო ხელის-მომწერლებიდან და მთხოვა, სანამ მთლათ არ შევასრულებ, მანამ გაზეთში ნუ გამოაცხადებო. მეც ამისათვის წავიყრუე ყური. მაგრამ დღეს კი ვალდებული ვარ იმ შემომწირველთა სახელი და გვარი ვაუწყო მკითხველებს. აი სიაც:

ივ. ბოლქვაძემ—2 მან. თითო მანეთი: ერ. კიწმარეიშვილმა, ირაკლი ჯაყელმა, ფ დარჩიამ, ბიჭ. დუდუჩავამ, ლ. თოდროზ კაცმა, ირაკ. დეკანოზიშვილმა, ივ. ნაკაიძემ, ირ. კობალეიშვილმა, ივ. კოპაძემ, ილ. მიქაძემ, ალ. ტილურაძემ, კ წერეთელმა, დავით გუგუნავამ, ის. გამყრელიძემ. ათ ათი-შაური: გ. ჩიმაკაძემ, ვ. მგელაძემ, ამ. ძნელაძემ და მამუკა ზეინკლიშვილმა. ამ პირებს უღრმეს მადლობას ვუძღვნი.

წიგნთ-საცავის გამგე ფილიპე მგელაძე.

---

# პროვინციის ვითარება.

(დაკვირვებანი გურიის ცხოვრებიდან).*)

დავასახელოთ უფრო თავი-და თავი მიზეზი კრიზისისა, რომელიც განუკურნებელი ჭირია თანამედროვე წარმოებისა. თანამედროვე საზოგადოებაში საქონლის წარმოება და მისი ხმარება ერთიმეორის დამოუკიდებელათ ხდება: საზოგადოებამ არ იცის, თუ რამდენ საჭირო მასალას ამზადებენ მისთვის; პირ-იქით მწარმოებელიც სრულიად არ ფიქრობს იმაზე, თუ საზოგადოება რამდენს თხოულობს, ან თუ რამდენი შეუძლია მას ამა თუ იმ დროს შეიძინოს. იმის მიზანია მხოლოთ რაც შეიძლება მეტი ფულის შეძენა; ხოლო ამისთვის რაც შეიძლება მეტი საქონლის დამზადებაა საჭირო. რამდენიმე პირის ასე ერთი-მეორესაგან განცალკევებული მოქმედება იწვევს იმდენი საქონლის დამზადებას, რაც საზოგადოების საშუალებას აღემატება. ამიტომ ჯერ თვით საქონლის ფასი ეცემა, ასე რომ გამყიდველი აქაც ზარალობს და შემდეგ, რაც ზედ მეტი იყო დამზადებული, იგი სულ ერთიანათ ფუჭდება საწყობებშივე. ამაში მდგომარეობს კრიზისი, როგორც ეკონომიური მოვლენა თანამედროვე წარმოებისა იმ ქვეყნებში, სადაც ტეხნიკა და კაპიტალისტური წარმოება უმაღლეს ხარისხამდეა განვითარებული. რასაკვირველია, ჩვენშიაც ეკონომიური კრიზისის თავი-და-თავი მიზეზი ამავე გარემოებაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ჩემი მხრით მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, რომ, მაგალითათ, დღევანდელი სიმინდის კრიზისი გურიაში მარტო ამ გარემოებას მივაწერო. ვინც ცოტათი ღრმათ ჩაუკვირდება საქმის ვითარებას, ის ადვილათ შეამჩნევს, რომ ამ მოვლენას (კრიზისს) აქ თავის განსაკუთრებული ხასიათი აქვს. საქმე აი რაშია: ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვთქვათ, რომ სიმინდის ფასის დაცემა გურიაში, ამ უკანასკნელ დროს, გამოწვეულია, მხოლოთ ან კარგი მოსავლით და ან იმ გარემოებით, რომ საზოგადოებას არც ძალა შეწევს და არც მოთხოვნილება აქვს ყველა ეს სიმინდი მოიხმაროს. მე სრულებით იმას არ ვამბობ, რომ დასახელებულ გარემოებათ არავითარი გავლენა არ ჰქონოდეს სიმინდის ფასის დაწევაზე. ამის დამტკიცება სრული უვიცობის ნიშანი იქნებოდა. მე იმას ვამბობ მხოლოთ, რომ აქ კიდევ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე.

ზევით მე ვთქვი, რომ ის აბაზი თუ ხუთი შაური, რომელიც საგარეო ბაზარზე შეადგენს დღეს ერთი ფუთი სიმინდის ფასს, არა თუ არავითარ სარგებელს არ აძლევს სიმინდის გამყიდველს, არამედ თვით მიწათ-მომქმედის ხარჯსაც არა ჰფარავს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ფასი მსოფლიო ბაზრის მაზანდაა. ახლა ვიკითხოთ: ნუ თუ ყველანი ისე ზარალობენ, როგორც ჩვენ, სიმინდის და საზოგადოთ და ხორბლეულობის წარმოებით? თანამედროვე წარმოებაში რომ ვინმე არ ზარალობდეს, ეს შეუძლებელია, მაგრამ ყველანი რომ ზარალში იყვნენ, მაშინ წარმოებას ხელს აღარავინ აღარ მოჰკიდებდა. თუ ხუთი შაურის კვალობაზე იყიდება დღეს ფუთი სიმინდი მსოფლიო ბაზარზე, ეს იმას ნიშნავს, რომ სიმინდის წარმოება ამ პირობითაც ხელს აძლევს დღეს გამყიდველთ, ე. ი. ისინი ამ ფასშიაც იგებენ. ჩვენ ვიცით აგრეთვე, თუ ვინ არიან ამ ჟამათ ხორბლეულობის და კერძოთ სიმინდის პატრონები მსოფლიო ბაზარზე, ე. ი. ამერიკელები, ინდოელები, რუსები, ავსტრო-უნგრელები და სხვ. შეუძლებელია, რომ ესენი საკმარის სარგებლობას არ ხედავდენ, როცა ევროპის ბაზარზე გამოაქვთ თავიანთი ნაწარმოები,—ვგულისხმობ სიმინდი,—და ფუთს ხუთი შაურის კვალობეზე ჰყიდიან. ახლა ვიკითხოთ, თუ საიდან წარმოდგება ის გარემოება, რომ როცა ჩვენში ერთი ფუთი სიმინდის ხუთ შაურის კვალობაზე გაყიდვა წყალში ჩაყრას ნიშნავს, იმავე დროს იგივე ფასი ამერიკელებს და სხვებს მოგებას აძლევს? ამის პასუხს დიდი თავის ტეხა არ უნდა.

---

*) იხ. „კვალი“ № 27.



ოსმალეთის ქალები სხვა-და-სხვა კუთხიდან.

1) ქალი მაჟურიდან (სასომხეთში), 2) ქურთის ქალი, 3) ბოსნიელი ქალი (სერაევოდან), 4) ქალი ზუზადურიდან, 5) ქალი ქაბადან, 6) ქალი ტრაპიზონიდან, 7) ქალი სკუტარიდან, 8) ქალი დიარბექირიდან, 9) ქალი დამასკიდან, 10) ქალი მექქადან, 11) ქალი ბრუსას გარემოებიდან.

ისინი, ვისაც ფუთი სიმინდის ხუთი შაურის კვალობაზე გაყიდვა ხელს აძლევსთ, ჩვენგან განირჩევიან თავიანთი მაღალი კულტურით, განვითარებული ტეხნიკით. საუკეთესო იარაღების, ახალი სისტემის სამეურნეო მაშინების მეოხებით, იმდენი შრომით და ხარჯით, რაც ერთი ფუთი სიმინდის მოყვანას ესაჭიროება ჩვენში, ამერიკელებს მოჰყავთ არა ნაკლებ ხუთი ფუთისა და საზოგადოთ კი ამაზე მეტი. ამიტომ სრულებით გასაკვირველი არ არის, რომ ამერიკელები ევროპის ბაზარზე გამოტანილ ფუთ სიმინდს ხუთი შაურის კვალობაზე ჰყიდიან, ვინაიდან იმათი ერთი ფუთი შრომის და ხარჯის რაოდენობით ჩვენში, მხოლოთ ფუთის ერთ-მეხუთედს უდრის, თუ კიდევ ნაკლებს არა. ვთქვათ, რომ ჩვენ დღეს გარემოება ნებას გვაძლევს ერთი ფუთ სიმინდის ადგილზე ხუთი ფუთი გავყიდოთ. ხუთ ფუთში დღევანდელ მაზანდაზე 100—125 კაპეიკს ავიღებთ. ახლა თუ მივიღებთ, რომ ეს ფასი მარტო ერთ ფუთშია აღებული, და არა ხუთ ფუთში, იმ შემთხვევაში ხომ კარგი მოგება დაგვრჩება. მაგრამ ეს ჩვენთვის დღეს ყოვლად უსაფუძლო ოცნებაა, ამერიკელებისთვის კი ცხადი სინამდვილე. ნამდვილ ღირებულობაზე რომ ვიანგარიშოთ, იმათი ხუთი ფუთი უდრის ჩვენში ერთ ფუთს. ამიტომ იმათ რა დაუშლისთ, რომ რა ფასშიაც ჩვენ ერთი ფუთის მიცემა გვეძნელება, იმათ ხუთი ფუთი გასცენ? ეს კი პირდაპირი შედეგია წარმოებითი ძალის განვითარებისა ამერიკაში. ის დრო უკვე კაიხანია წავიდა, როცა ზოგიერთი ეკონომისტები ამტკიცებდენ, რომ მეურნეობაში მაშინების გამოყენება შეუძლებელია. მხოლოთ თითო-ოროლა შემთხვევაში და ისიც არა საძნელო საქმეში თუ შესაძლებელია მაშინების ხმარება მეურნეობაშიო. დღეს კი, მაგალ., ამერიკაში, მაშინებს იგივე ალაგი უჭირავთ მეურნეობაში, რაც ფაბრიკულ წარმოებაში.

მაგრამ მიწის მუშაობაში რა თქმა უნდა, პირველი ალაგი უჭირავს საყანე მიწების რაოდენობას და იმათ სინოყივრეს. ამ მხრით ამერიკა არა თუ მშესადარებელი არ არის ჩვენ ქვეყანასთან, არამედ ისი მსგავსი მთელ დედამიწის ზურგზედაც კი არ მოიპოება. როგორც გამოუანგარიშებია პოლკოვნიკ დენიზს (Denise), მხოლოთ ერთ მესამედ ნაწილს მდინარე სასკაჩევანის და ნელსონის ხეობისას, რიგიანი მუშაობით და ზომიერი მოსავლით (15 ჰექტოლიტრი ჰექტარზე) შეუძლია დაარჩინოს პურით დედამიწის ზურგზე რაც ხალხი ცხოვრებს. ხოლო სხვა ქვეყნებზე უფრო იაფ-წარმოებას ამერიკაში ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იქ გამეფებულია ეგრეთ წოდებული დიდი მეურნეობა. ისეთი უზარმაზარი ფერმები (Bonanza—farms), რომლებიდანაც თითოეული ყოველ წლობით 1000 -3000 დესეტინა მიწას თესავს ყანებათ, ამერიკაში იშვიათ მოვლენას არ შეადგენს. ასეთი დიდი ფერმებ-, რასაკვირველია, წვრილ ფერმებთან შედარებით ყველაფერ ხარჯში იოლათ გამოდიან. მაგრამ ასეთი დიდი ფერმების არსებობას ყველაზე უფრო ამერიკის ბუნება უწყობს ხელს: იქ რამდენიმე ათასის ვერს-ს მანძილზე გადაშლილია სწორი და ნაყოფიერი საყანე ადგილები. ზევით ნათქვამიდან აშკარათ ჩან·, თუ რათ ითვლება დღეს ამერიკა მსოფლიო ბაზარზე ხორბლეულობის ბატონათ. ამ ასპარეზზე ამერიკას საშიშარი მოცილე, გარდა აღმოსავლეთის ინდოეთისა არსად არ მოეპოვება ეს უპირატესობა მიენიჭათ ამერიკელებს 1879 წელს, როცა ევროპას დიდი მოუსავლობა ეწვია. 1879 წლის ივლისის თვიდან დაწყებული ერთი წლის განმავლობაში ამერიკამ გაავსო ევროპა პურით, ასე რომ პურის მაზანდამ აწევის მაგივრათ კიდევაც დაიწია. ევროპის მეურნენი, განსაკუთრებით კი გერმანიის მიწათ-მფლობელნი, რომლებისთვის ეს მოუსავლობა კარგი მოზრდილი ლუკმა უნდა ყოფილიყო, ძლიერ გაოცდენ, როცა ეს ლუკმა ასე აშკარათ ამერიკელებმა გამოაცალეს მათ პირიდან. ამხნიდან დაწყებული ამერიკამ (მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მე აქ განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები მაქვს მხედველობაში) თან-და-თან დაიპყრო პურის მსოფლიო ბაზარი. მხოლოთ ამ თან-და-თანი დაპყრობით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ამ ოთხი თუ ხუთი წლის წინეთ ჩვენს სიმინდს კიდევ არ დაეკარგა საგარეო ბაზარი. ცხადია, რომ ამ დრომდის ამერიკის სიმინდს კიდევ ვერ მიევნო, თუ ვერ მიეღწია იმ პატარა კუნჭულამდის, სადაც ჩვენი სიმინდი იყიდებოდა; ხოლო როცა მიაღწია, მაშინ ჩვენ სიმინდს იქ გასავალი აღარ ჰქონდა.

რომ დღევანდელ პირობებში ჩვენ სიმინდს ამერიკის და გინდ სხვა ქვეყნის სიმინდთან, სადაც კი წარმოება გაუმჯობესებულია, ცილობის გაწევა არა გზით და არა საშუალებით არ შეუძლია, ეს რამდენათმე ზევით ნათქვამიდანაც ჩანს. მაგრამ უადგილო არ იქნება, თუ აქ სიმინდის მოყვანის და საზოგადოთ გურიის მეურნეობის პირობებს მოვიხსენიებთ, მოკლეთ მაინც. ამ მოკლე აწერაში ადგილი არ ექნება, რასაკვირველია, გურიის გეოგრაფიული დ̃ ფიზიკური პირობების აღნიშვნას. ვიტყვი მხოლოთ, რომ გურიაში ვაკე ადგილებს და მთა-გორაკებს თანაბარი სივრცე უკავიათ. ამიტომ გურია საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს კაცზე. დაუმატეთ ამას ისიც, რომ, თუ რომელიმე მაღალი ადგილიდან გადახედავთ

გურიას, იგი თქვენ წარმოგიდგებათ, როგორც ხელოვნურათ გაშენებული ბაღი, ვინაიდან ყოველგან მცენარეებითაა შემოსილი. მართლაც, რომ კაცმა თქვას, გურია ნამდვილ ბაღს წარმოადგენს, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ამ ბაღში კაცის ხელს ცოტა რამ გაუკეთებია. რაც შეეხება ნიადაგს, იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იცვლება გურიაში. საზოგადოთ აქ ორ გვარი ნიადაგი შეგხვდებათ ერთმანეთში სხვა-და-სხვა პროპორციით არეულ-დარეული: შავი მიწა და თიხა. ვაკე და დაბლობ ადგილებში შავი მიწაა, უმეტეს ნაწილათ, ზეგნებში, ეწრებში და დობირებში ან სულ თიხაა, ან თიხა ნარევი. ქვიშიან მიწას აქ უფრო იშვიათათ შეხვდებით. ამის-და კვალათ მიწის ნაყოფიერებაც სხვა-და-სხვა გვარია. საზოგადოთ გურია ნაყოფიერ ქვეყნათ ითვლება, თუმცა ეს ნაყოფიერება საშუალოს ვერ გაცილდება. მიწის განოყიერება, გასუქება ნაკელით ან სხვა რამით აქ არ არის შემოღებული. თუ მოვა მოსავალი: სიმინდი, თუ რაიმე სხვა ჭირნახული, კარგი, თუ არა და თქვენი ჭირიც წაუღია. მაგრამ გურიის მეურნეობის დამახასიათებელ თვისებათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ აქ საყანე მიწა იმავე დროს სავენახეც არის და, თუ გნებავთ საძოვარიც. ამ თვისებას მჭიდრო კავშირი აქვს გურულ სოფლის გაფანტულ მოსახლეობასთან.

პროვინციელი.

(შემდეგი იქნება)

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

**,,ერეკლე მეფე და ინგილო ქალი'', სახალხო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემული წერაკითხვის გამგეობის მიერ.**

Ჩვენი დროის ქართულ ლიტერატურაში ხშირათ გაისმის ხმა, რომ მეცნიერულ ნიადაგზე აგებული საბუთიანი კრიტიკა არა გვაქვსო. ჩვენც თანახმა ვართ ამ აზრისა; მაგრამ ერთი ვიკითხოთ, არის კი მომზადებული შესაფერი ნიადაგი, რომ ახლა ასეთმა კრიტიკამ იხეიროს? განა არის რამე თანამედროვე ლიტერატურაში ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოები, რომ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული კრიტიკის ბასრი მახვილი შეეხოს და არ დაითრგუნოს? დღეინდელი ჩვენი ლიტერატურა წარმოადგენს ისეთ, ფერმიხდილ წვრილმანობას, რომ გამდიდებელი შუშითაც ვერას ამოარჩევ საბუთიანი კრიტიკის ღირსსა. ძველნი აღარას გვაწოდებენ შესანიშნავს და მათი ნიჭის შესაფერს. ახალ-მწერალთა ნაწარმოებნი კი დეკადენტობის ყინვას დაუძრავს. ჩვენი დროა მკრთალი ეტიუდების დრო, რომელთა შორის მომეტებული ნაწილი მხოლოთ უგემური მიბაძვაა უცხო ქვეყნის ლიტერატურისა, გაყინული გრძნობით უდროოთ დამჭკნარი, უაზრობით გამოფიტებული და ფრაზეოლოლიით მორაკრაკე კოტოში. ხოლო თვით ნიადაგი კრიტიკისა, ესე იგი ლიტერატურული სფერა, რომელშიაც იგი უნდა საზრდოვობდეს, მოწამლულია საოცარი სენით. ახლანდელი ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენელნი, თანამედროვე მწერალნი სულ ერთიანათ ამ სენით არიან ავათმყოფნი. რა სენიაო მაგისთანა, რომელიც ვერ ასაზრდოებს ნამდვილ კრიტიკას—მკითხავს ცნობის მოყვარე მკითხველი. ეს არის თავმომწონეობის სენი. ყოველი ქართველი მწერალი ისეთ ნაირათ შეპყრობილია ამ სენით, რომ მის თხზულებაზე თუ არ ხოტბით მოხსენება, სხვა სიტყვა ვერ დაუძრავს კრიტიკას. მაშინვე ატყდება ჩვენ ლიტერატურაში საშინელი ალიაქოთი. მოკრიტიკეს ათასნაირ ჭორებს შეუთხზვენ, მაშინვე პირადობას დაწამებენ და მოჰყვებიან ლანძღვა-თრევას, ბოლოს იმდენზე მიდიან კრიტიკის მიერ ნაკლულევანება-შენიშნული ავტორები, რომ თვით მოკრიტიკეს ოჯახსაც, ამ წმინდათა-წმინდას ყოველი კაცისას, არ აყენებენ ჩირქმოუცხებლათ და გამოაშკარავებენ ყოველი პატიოსანი კაცის გულის ამრევ ბინძურ ჭორებს. მოდი და რა კრიტიკა უნდა იყოს შესაძლებელი ასეთ ზნედაცემულ ლიტერატურულ სფერაში? რაც უნდა ზრდილობიანი და განყენებული მსჯელობის კრიტიკა უნდა დაწეროთ ვისიმე თხზულებაზე, თუ კი რამე ნაკლულევანება შენიშნეთ მწერლის ნაწარმოებს, გათავდა? ის მაშინვე ქვეყანას შეძრავს მოკრიტიკეს ლანძღვით, დაწამებს მას ყოველგვარ სიბოროტეს, მტრობას, შურიანობას, ფლიდობას და, ღმერთმა უწყის, კიდევ რას.

ვის გაუგონია, რომ ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი მაშინვე ყროჭში წვდებოდეს მოკრიტიკეს გარჩევის გულისთვის. ლიტერატურული ეტიკა ამას არ შეიწყნარებს; მაგრამ ჩვენში ამაზე უარესიც ხდება. მოკრიტიკეს აბეზღებენ კიდეცა.

ასეთ მოწამლულ ლიტერატურის ასპარეზზე გამოსვლას ყოველი მოკრიტიკე და განსაკუთრებით ჯერ კიდევ ცხოვრების სისასტიკის გამოუცდელი ახალგაზდა უნდა უფთხოდეს. განა ბევრს შერჩება ზნეობრივი მხნეობა გაბედოს რამე ვისიმე თხზულებაზე, როცა ეს ვინმე, იქნება ფრიად დამსახურებელიც იყოს, შორიდან მუშტებს უღირებს და უთვალის, არ გაბედო ჩემი თხზულების ნაკლულევანების

ჩვენება, თვარა მიწასთან გაგასწორებთ. ასეთ საშიშ მდგომარეობაშია ყოველი მოკრიტიკე ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის ნაწარმოებისა და კიდეც იმიტომ, იქნება, ათასში ერთი ვინმე გამოჩნდეს შეუპოვარი მკვლევარი, რომელმაც იქნება თითო-ოროლა მართალი მსჯელობა წამოაყრანტალოს მიმდინარე ლიტერატურის ნაწარმოებზე და ჩაიწყვიტოს ხმა, რადგან თავმომწონეობის სენით შეპყრობილნი ლიტერატორნი საწყალ მოკრიტიკეს აღარ აზოგინებენ ლიტერატურის ასპარეზზე.

აი, ახლაც ჩემ წინ მდებარებს პატარა წიგნაკი ჩვენი ცნობილის პედაგოგისა. მინდა მისი გარჩევა, მაგრამ თან ძარღვებში კოლინჯის ქარები მივლიან, ვაი თუ ამ პაწია წიგნაკის დაფასებით ათასნაირი ურიგო დაწამება და პირადი შეურაცხყოფა მომადგეს. ხოლო თუ არ დავაფასე, ვაი, თუ კიდევ უარესი პასუხისგება მხვდეს ზნეობრივათ ჩემი საკუთარი სინდისის წინაშე; და განა კი შესაძლებელია უკრიტიკოთ ლიტერატურის წარმატება?

აი, ასეთს ორ ცეცხლშია ჩამდგარი ყოველი პირუთვნელი და მიუდგომელი კრიტიკა ქართულ ლიტერატურაში და ახლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, მკითხველო, რამ უნდა ასაზრდოოს, რამ უნდა შეასხას ფრთა ნამდვილ მოკრიტიკეს ჩვენს ლიტერატურაში.

წერა-კითხვის გამგეობის მიერ ახლათ გამოცემული პაწია სახალხო მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ ვილაც უმნიშვნელო მწერლის კალმის ნაწარმოები რომ იყოს, ჩვენ მას კრიტიკასაც არ ვაღირსებდით, მხოლოთ დაგვრჩებოდა სანანულათ წერა-კითხვის გამგეობის უწვრთნელი გემოვნება ხელოვნებისა, რომლითაც მას ვერ შეუგნია, რა არის ხალხური და სახალხო, ან როგორმა ლიტერატურულმა ნაწარმოებმა უნდა ასაზრდოოს ხალხის გონება. მაგრამ რადგან „ერეკლე და ინგილო ქალი“ არის ნაწარმოები ისეთი დამსახურებული ქართულ მწერლობაში გვამისა, რომლის თხზულებას ყურადღებით კითხულობს ჩვენი ხალხი და შეუძლია მის გონებრივ განვითარებაზე იქონიოს კარგი, თუ ცუდი გავლენა, ამისთვის ჩვენ ვერ დავიდუმებთ და არ შეგვიძლია ვაპატიოთ ზოგიერთი ნაკლულევანება ამ სახალხო მოთხრობას, რომლის მეოხებით ბუნებრივი ესტეტური გრძნობა მკითხველისა იმის კითხვის დროს უნდა შეილახოს და ცრუ წარმოდგენა უნდა შეითვისოს ჩვენს წარსულზე.

ჯერ წინეთაც ღიდი ქება გვესმოდა ამ პაწია სახალხო თხზულებისა. ავტორის ხოტბის შემსხმელმა გუნდმა „ჯეჯილის“ ნაკლულევანების ძირითად საბუთათ სხვათა შორის ის გარემოებაც წინ წამოაყენა, რომ „ჯეჯილის“ რედაქციამ ასეთი გენიოსური თხზულება, როგორიც არის სახალხო მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, დაიწუნაო და თავისი ფურცლები არ აღირსაო.

როგორც ხოტბის შემსხმელნი გალობდენ, ამ თხზულებამ პირველათ „ცნობის ფურცელი“ გაამდიდრაო გაზეთის შინაარსის გაუმჯობესებით, შემდეგ კი, როგორც ახლა ვხედავთ, ამ პაწია მოთხრობას წერა-კითხვის გამგეობის ამა წლის ქველ-მოქმედებისთვის ბრწყინვალე გვირგვინი დაუდგამს.

წიგნაკი თუმცა სუფთათ არის გამოცემული, მაგრამ ფასი კი მეტისმეტათ ძვირი დაუდვიათ. ამ ხელა წიგნაკი ჩვენი ხალხისთვის ორ კაპეიკ ზევით არ უნდა ღირდეს, მაშინ როდესაც წიგნაკი შაურათ გაუხდიათ; სამაგიეროთ წიგნაკში ორი სურათიაო-გვიპასუხებენ. ყველამ იცის, რომ ირაკლის სურათი ნათხოვარია, მაშასადამე მასში გამგეობას ფასი არ გასვლია, ხოლო მეორე სურათი კი, სადაც ინგილო ქალია დახატული ხეზე და ირაკლი ჯარს მოუძღვის, სულაც რომ არ დაეხატათ ის ჯობდა, მეტათ ტლანქი, უშნო და ულაზათოა. ამ ნახატზე „ინგილო ქალი“ წარმოადგენს თოვლის გუნდისგან დაგორგოსალებულ ტიკინას, რომელსაც პირის ნიშნათ თითქოს ნახშირით ხაზი აქვს გასმულიო. თუმცა ასეთი ესტეტურ ღირსებას მოკლებული მხატვრობა სრულებით შეესაბამება თვით წიგნაკის შინაარსს, მაგრამ გრ. ტატიშვილს რომ ნახატზე თავისი ღალი არ დაეკრა, მის ქანდაკურ ხელოვნებას უფრო მოუხდებოდა.

ახლა განვიხილოთ თვით შინაარსი მოთხრობისა „ერეკლე და ინგილო ქალი“. ერთხელ ერეკლე თავისი ცხენოსანი ჯარით მოდიოდა საინგილოში და უცებ თავზე ვიღამაც ერთი მუჭა ქლიავი გადმოაყარა მეფეს. ჯარი და მეფე, გაოცებულნი ამ კადნიერებით, შედგენ, მიიხედ-მოიხედეს და ქლიავის ხეზე დაინახეს თორმეტის წლის ინგილო გოგონა, რომელმაც გაბედა ასეთი კადნიერება. „მხლებელნი ჩამოხტენ ცხენებიდან, აცვინდენ ღობეზე და შეჰყვირეს პატარა ქალს: „შე. ბრიყვო, შე საძაგელო, ეს რა ჰქენი? მეფე ერეკლეს თავზე ქლიავის გადმოყრა როგორ გაუბედე, ჩამო ეხლავ სიდან და ბოდიში მოითხოვე მეფის წინაშე, თორემ შავი დღე დაგადგებაო“?

ჩვენის აზრით ჯარის კაცების ასეთმა მრისხანე შეტევებამ, მასთან ისიც თუ წარმოვიდგინეთ, რომ მთელი ჯარი და მისი მეთაური მეფეც შედგენ და მრისხანეთ შეჰყურებდენ ქლიავზე ასულ თორმეტი წლის გოგონას,—ინგილოს გოგოსთვის გული და გრძნობა უნდა წაერთმია და შიშისაგან ძირს ბერტყა უნდა გახდენოდა. განსაკუთრებით თუ იმ ისტო-

რიულ ამბავსაც დაეიდასტურებთ, რომ მეფის თვალებს, როცა იგი მრისხანეთ იყურებოდა, მთელ ირანში კაცი ვერ გამაგრებოდა, ეს საკვირველი ამბავი მართლაც საკვირველებათა შორის უნდა ჩაირიცხოს. ისტორიით და თანამედროვე ცხოვრების შესწავლით ჩვენ ასე გვაქვს გაგებული, რომ წარსულ საუკუნეში ჩვენი ქალები მეტათ დაკრძალულათ და მორიდებით ცხოვრებდენ თავის ოჯახებში. მეთექვსმეტე საუკუნიდან, როდესაც მაჰმადიანობა მომძლავრდა და მან გავლენა იქონია საქართველოს ერის ზნე-ჩვეულებაზე, განსაკუთრებით მას აქეთ ოჯახში დაკრძალვა და კარ-ჩაკეტილობა ჩვენის მანდილოსნებისა ყველასგან ცნობილია. მას აქეთ მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში მხოლოთ ორი მაგალითია ჩვენს ისტორიაში, რომ დედაკაცს, და არა ჩვილ გოგოს, თავი გამოეჩინოს მეფესთან სიტყვის გაბედვით. ერთი მოხდა ზემო-იმერეთს კორბოულის სოფელში, სადაც გლეხის დედაკაცმა, სახელდობ გოგალაურმა, მეფე სვიმონს შეჰკადრა: „მეფეო, მიირთვი ერთათ ერთი ვაჟი ჩემიცაო“. მეფემ უპასუხა: „კაცებით მთვრალი ვარო“.

ხოლო მეორეს უჩვენებენ ძმათა ჩერხეულიძეთა დედას. მაგრამ ჯერ არც ეს ამბები არიან ისტორიული კრიტიკის დარჯაკში გატარებულნი.

რაიცა შეეხება ინგილო გოგონის ამბავს, უფრო დასაჯერებელია, რომ როცა იგი დაინახავდა უცხო ჯარს, თავის მეფით მომავალს, ან საჩქაროთ ჩამოვარდებოდა ქლიავიდან, რომ დამალულიყო, რადგან შეთვისებული ეტიკა უცხო კაცებთან მოკრძალვისა ნებას არ მიცემდა გამოჩენილიყო, ან და, შესაძლებელია, შიშით ზარდაცემული თვით ქლიავის ხეს შეაშეშდებოდა; მაშინ შეიძლება მის და უნებურათ მოკრეფილი ქლიავები კალთიდან გადმოცვენოდა და მეფეს მოხვედროდა, პაწია გოგონასაც ამაზე გაღიმებოდა. ესე ყოველივე ბუნების თანახმა და ნამდვილზე ახლოს არის.

მაგრამ ის, რომ თორმეტი წლის სოფლის გოგონა იმ ზომამდე გაუტიფრებული იყოს, როგორც ავტორს იგი ყავს დახატული, უკაცრავათ ნუ ვიქნებით, და სრულებით სიმართლეს მოკლებულია და დაუჯერებელი.

„აგ რომ სახელოვანი მეფე ერეკლე იყოს, განა სპარსულ ქუდს თავზე დაისურავდა?—იძახოდა გოგონა—არა, აგ ტყუილიაო (sic). მე ქლიავი თავზე გადმოვაყარე სპარსელ თათარს, ჩვენს მოსისხლე მტერსა, და არა მეფე ერეკლეს, რომელიც ყველა ქართველებს ღმერთივით გვიყვარს და თქვენ სულ ტყუილათ მემუქრებით, არც ძირს ჩამოვალ და არც ბოდიშს მოვიხდი“.

ყოჩაღ, თორმეტი წლის ინგილო გოგოვ, რა მამაცი ყოფილხარ, მთელი ჯარისა და მისი მეფის რისხვისაც რომ არ მორიდებიხარ, შვენიერია შვენიერი, ნამდვილი ხელოვნებითაც არის თორმეტი წლის გოგონის სიუკმეხე დახატული!! იფ, იფ!.. მაგრამ ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია და თვით ეს მაღალ ფარდების აზრები უადგილო ტენდენციით არის გატენილი, ყველა ეს ინგილო ქალის თავში თვით ავტორის მიერ არის ჩაჩხირული. აი, ამიტომაც აქ ინგილო ქალი გვეჩვენება არა ცოცხალ არსებათ და თავის შესაფერი ბუნების თვისებით შემკულათ, არამედ მოლაპარაკე ტიკინათ, რომლის გვამში თვით ავტორი ჩამალულა და იქიდან თავის აზრებს აჰიჰყინებიებს უსულო ტიკინას.

XX.

(შემდეგი იქნება.)

# გაკვრით.

## (გზა-და-გზა)

გემით მოგზაურობა ბაქოდან ლენქორანამდე.—ლენქორანი.—მისი ადგილ-მდებარეობა—ბუნება,—ჰავა,—მცხოვრებთა რაოდენობა.—მკვიდრთა ცხოვრების სახსარი.—ლენქორანის ქართველობა.—მეორე ციმბირი.—ლენქორანის ცხელი წყლები.—მათი მომავალი.—საერთო დაუდევრობა.—

### IV *)

ბევრს შევიწროებას შემდეგ, ძლივს გვეღირსა ბაქოდან გასვლა... 25 მარტს, ღამის პირველ საათზე ლენქორანში გადიოდა გემი „დიდი მთავარი მიხეილი“ და ჩვენც გვებრძანა ამ გემით წავსულიყავით. 1)

დავტოვეთ ჩვენი უსუფთაეო ოთახი, ავკრიბეთ ბარგი-ბარხანა და ნავთ-სადგურზე გავედით. ოთახის დაგუბებულ ჰაერის ნაცვლათ, შემოგვიქროლა ზღვის ნიავმა და გული გაგვიხარა. ყრუთ, ოდნავ გუგუნებდა თეთრი ზღვა, თითქოს ამასაც დასძინებია, მხოლოთ ხალხის ფეხის ხმა, ბარგის გადაზიდვა-გადმოზიდვით გამოწვეული ხმაურობა, შორით გამო-

*) იხ. „კვალი“, № 24.

1) ბაქოდან ლენქორანში ზამთრობით ორ კვირაში ერთხელ გადის საკალდებულო გემი, ზაფხულობით კი კვირაში - ერთხელ.

აკტ.

ძახილი მუშებისა და მეზღვეურთა ბრძანება—ყვირილი უცნაურათ ქრიალებდა ჰაერში. გემზე ასვლა ჯერ ადრე იყო და ნავთ-სადგურის ბაქანზე გაჩერებული, ჩემდა უნებურათ გავცქეროდი უკუნეთად გადაქცეულ ზღვის სივრცეს. თვალ-წინ არა მოჩანდა-რა, მხოლოთ ზღვის ნაპირებში გამოხატული განათლებული კიდეები და გაჩირაღდნებული ნავთსადგური გულ-ალმა მოქცეულიყო მის სიღრმეში. სანთლების შუქი სვეტებათ ჩამომდგარიყო ზღვის გულ მკერდზე და საოცნებო სურათათ მოექარგა იგი. დრო-გამოშვებით შეტორტმანდებოდა ხოლმე გაკრიალებული ზედა—პირი ზღვისა, ტალღა-ტალღას ეჯახებოდა და აღქაფებულ, უკან-დაბრუნებულ ზვირთებს თითქოს თან მიჰქონდათ სანთლის შუქი, რომ შორს, შორსაც გაენათებინათ დაბურული ზღვა, მაგრამ შუქი იგი უსხლტებოდა ტალღებს და ცოტაოდენ ტორტმანს შემდეგ იქვე, ნაპირებზე, საყვარლათ ციმციმებდა და კრიალებდა, ვიდრე კვლავ არ მოაწყდებოდა ხოლმე ტალღა, ვიდრე ნაპირებისკენ მოგროვილი წყალი ისევ არ შეარყევდა, ისევ არ დაჰყოფდა, არ აკანკალებდა სხივსა და ერთხანს არ წაშლიდა თვის ზვირთებში გამოხატულ ქალაქის ნაპირებს... გულ-ჩათხრობილათ გრიალებდა ზღვა, შორით მოისმოდა მენავეთა ერთ-კილოიანი, ნაღვლიანი ღიღინი, აუარებელი ნავები და ბარქასები წყნარათ ფოფინებდენ ზღვის მკერდზე, ნაზათ ირხეოდენ. ჩვენ გარშემო კი ხალხი ირეოდა, განუწყვეტლათ ხმაურობდა. სწორეთ საარაკო ღამე იყო ეს ღამე ზღვის პირათ, უცხო, ამ ამბების უნახველ კაცისათვის!..

დაჰკრა ათი, თუ თერთმეტი საათი და გემზედაც ავედით. ეს გემი მომცრო იყო, სადა და უბრალო მეხანიზმისა. თითქოს ყველაფერი შინაურულათ იყო მოწყობილი ამ გემზე, ნამეტნავათ, როცა მესამე კლასში შეგვიყვანეს და დაგვაბინავეს, ჩემი თავი გემში კი არა „სალდათის ბაზარში“ მეგონა. აქ, ამ სამარესავით ვიწრო და აშმორებულ ოთახში, თითქმის 40—50 კაცამდის შევიკრიბენით. ჭუჭყიან იატაკზე დავყარეთ ბარგი-ბარხანა და კროებივით ზეწამოვსკუპდით. მომეტებული ნაწილი რუსის სალდათები იყვენ. დანარჩენი რუსისავე დედაკაცები, რამდენიმე სპარსელი, ორი თუ სამი სომეხი ვაჭარი და ორიც ქართველი. მაგრამ ვინ დაგიდევდათ უპირატესობას, აქ ადგილები იმათ დაიკავეს, ვინც უფრო ხელ-მარჯვე და ღონიერი იყო! რუსის დამთვრალმა დედაკაცებმა და სალდათებმა ხომ ყურთა სმენა წაგვიპილწეს. იყო ერთი ალიაქოთი სიცილი, მითქმა-მოთქმა და ლანძღვა-თრევა. ღმერთო, ღმერთო უვიცობა-უპატრონობას რამდენი ადამიანი გაუმხეცებია!..

როდის, როდის გემმა დაიკივლა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, წყნარათ დაიძრა, რამდენჯერმე დაიქშინა და გასწია უკუნეთისკენ. ჩვენი თანამოგზაურები ერთ ხანს გაყუჩდენ, თითქოს ფიქრობდენ, რომ ახლა კი გულ-ღია ზღვის ანაბარა ვართო. მომეტებულმა მათგანმა პირჯვარიც-გამოისახა, მაგრამ ეს სულისკვეთება წუთიერი გამოდგა. მალე ისევ ახმაურდენ და პირჯვარის-გადამწერებმა გააბეს თავისებური უწმაწური ლაპარაკი. მდიდარ კაცს, „განცხრომის ძეს“ თავის დღეშიაც არ მოუხდება ამ გვარ უზრდელებთან გვერდით-გვერდ მოგზაურობა, მათთვის ყველგან და ყოველთვის ხავერდით მორთული პირველი და მეორე კლასია ხოლმე მომზადებული! ჩემი ძვირი რომ მოგახსენოთ, სწორეთ შემშურდა მათი მუდმივი ნებივრობა!..

თავი მომაბეზრა ბრბოს ჟრიამულმა და მესამე კლასის ჯურღმულიდან გემის ბაქანზე გავედი... დაუსრულებელ სივრციდან მოჰქროდა ნიავი და გულს მიხალისებდა. თვალ-წინ კი ვერას ვარჩევდი. ბნელი ღამე იყო და, აბა, რა გამოჩნდებოდა. მაგრამ ან კი რა შემხვდებოდა გზაში? ირგვლივ წყალი და წყალი, წყალი უძირო, უზომო და აზვირთებული!.. მხოლოთ მოსრიალე გემი რომ მიმაქროლებდა სწორეთ განცვიფრებაში მოვდიოდი ჩემ გვარი აგებულების, მაგრამ მეცნიერებით აღჭურვილი ადამიანის გონებისგან. რა არ დაუმორჩილებია რჩეულ ადამიანთა შორსმხედველობა-მეცადინეობასა. „დიდება ღვაწლ-მოსილ მეცნიერებასა-მეთქი!“ გულ-წრფელათ წამოვიძახე უბრალო მომაკვდავმა ბრაზ-მორეულთა და ზნეობა-გონებით გათახსირებულთაგან დევნილმა...

განთიადმა მოაღწია, მტრედის-ფრათ ირაჟრაჟა ცამ და კამკამა ზღვას შავი სუდარა ეხდებოდა. ჩვენი გემი დიდიხანია მოწყვეტოდა ხმელეთს, ეს უკანასკნელი არსაითა ჩანდა. ირგვლივ წყალი და ისევ წყალი! ვისაც ზღვით ხშირათ უმოგზაურია, შეიძლება შეჩვეულიც იყოს დამშვიდებულის ზღვის ერთფეროვან ლიფლიფს, მაგრამ მე კი პირველათ ვიყავი ზღვაში და, მართალი მოგახსენოთ, თვალი ვეღარ მოვაშორე ამ დიდ სანახაობას... თითქოს ერთფეროვნება სუფევდა, თითქოს მანძილი-მანძილ ისაგან არ განირჩეოდა, ტალღა-ტალღას ერთ წყებათ და ერთ მხარეს მიდევდა, მაგრამ ზღვის თითოეული მხრების შებერტყა, თითოეული აგორებული ტალღა ჩემში ათასგვარ გრძნობებს იწვევდა... მე იგი ზღვა დავადარე მიუწვდომელ თავისუფლებას, სპეტაკ უმანკოებას, უსაზღრო ამაყობას და ცივ უკვდავებას... ერთით საშიშარი, მაგრამ მეორე მხრით სასიამოვნო იყო ამ ზღვაში მოგზაურობა; ერთით,— ხმელეთის დანახვა მოგვენატრებოდათ, ხოლო მეო-

რე გულით კი გინდოდათ გეარნათ და გეარნათ ამ თითქმის დაუსრულებელ „წყალთა გროვაში“, გემზირათ მისის ულმობელის ძლიერებისათვის, მისის სიამაყე—მედიდურობისათვისა. „ისრიალე, ისრიალე, გემო, ამ დაუსრულებელ სივრცეში, ზღვის ტალღების მჩერა ჯობნებულა ათას გვარ დაკნინებულ მეთვალყურეების ხელში ყოფნასა-მეთქი“. ძალა-უნებურათ წამოვიძახე და გემის აივანს მივეყუდე... ამ დროს აღმოსავლეთი ვარდის-ფრათ აენთო, ღრუბელი-ღრუბელს მოწყდა, ჯერ შეიკუმშა, თითქოს ძალ-ღონე მოიკრიბაო და მერე კვამლივით გადაიპენტა. ზღვის გულიდან ამოცურებულმა ფართე სხივებმა მიმოჰფანტეს ღრუბლები და სვეტ-სვეტათ აღიმართენ ცის გუმბათზე. მზე ამოდიოდა! დიდებული იყო, დიდებული მნათობის ზღვიდან ამობძანება ქვეყნის გასათბობათ: პირველათ თითქოს ზღვა ცას-მოწყდაო, უკან დაიხია, გაწითლდა, მერე ერთი შეიშმუშნა და განცვიფრებულივით სული განაბა. ვეებერთელა, კეცის მჭადისოდენა სპილენძის-ფერი მნათობი ზღვისა და ცის-შუა იმართებოდა ნელ-ნელა, დინჯათ. ზღვა, მზის მახლობლათ, გაჭიაფერებულიყო, ცას კი ფერი განკრთომოდა, თითქოს შურს მზის ზღვასთან სიახლოვეო. ბოლოს მზე მთელის თავის ტანით გამოჩნდა. ოდნავ-ღა ეხებოდა ზღვის ტალღებს, სადაც სხივთა კონები თავს ილამაზებდენ, ციმციმებდენ, და მით საოცნებოთ ამრავალ-ფერებდენ ზღვის ზედა-პირს. ცოტა კიდევ და ახლა ზღვა გაფითრდა, ცა კი გალაჟღაჟდა, ღრუბლები მაღლა-მაღლა წავიდენ, მზის სხივები გაუსხლტენ ზღვის ტალღებს და აპრიალებულმა ლურჯათ მოკამკამე ცამ თითქო სულ დაჩრდილა ზღვის სიშვენიერე... მეტის-მეტი გამამხნევებელი ზე-მოქმედება იქონია მზის ამოსვლამ მაყურებლებზე, მეტის-მეტი დამამშვიდებელი იყო ყველასათვის და ისეთი პოეზიით აღსავსე, ისეთი ნეტარებისა და სიტკბოების გამომწვეველი, როგორც ნეტარებასაც იგრძნობს მონობისაგან გათელილი ხალხი, იმ დროს როდესაც მისი საყვარელი გმირი თავისუფლების დროშას აფრიალებს დაჩაგრულ სამშობლოში. დაილოცოს ბუნების ძალნი! ბუნების დიადი სურათები დრო-გამოშვებით რომ არ გვატკბობდენ, გულის-ხმაში არ გვაგდებდენ და აღფრთოვანებაში არ მოვყავდეთ, გადუხჭირებულის ცხოვრების პროზით გავერაგებულნი აქამდის ერთმანეთს დავჭამდით!..

ია ეკალაძე.

(შემდეგი იქნება)

## თავმომწონეობა (manïa grandiosa).

(ა. ქარი).

შეწუხებულმა ავათმყოფმა მოითხოვა ღვდელი.

— მამაო—თქვა მან—შორ გზას მივალ და, მგონია, კარგი იქნება შევმსუბუქდე ცოდვებისაგან, გთხოვთ მომაშოროთ ეს მოუსვენარი ტვირთი. მამაო, მე ვადგენდი წიგნებს. ოჰ, პირს ნუ იბრუნებთ იქით!.. დიახ, მე ვადგენდი წიგნებს!

— პირს არ ვიბრუნებ, ცხვირს ვიხოც.

— მეშინია, მამაო, ამ წიგნებმა ბევრი ბოროტი დაბადეს. შეგიძლიათ, მამაო, მომიტეოთ ის ცოდვა, რომელიც ჩავიდინე წიგნების თხზვით?—კიდევ გკითხავთ: რა სასჯელს მიიღებენ საიქიოს მავნებელი წიგნების მთხზველები?

— ამაზე ბევრს ვერას გეტყვი, შვილო. მხოლოთ წამიკითხავს ღვთისმეტყველებაში, რომ დასჯა იმ დრომდე აქვს ცოდვილს გადაწყვეტილი, სანამ წიგნს ბოროტება მოაქვს, ე. ი. ვიდრე ის არ გამოვა ხმარებიდან, ვიდრე შხამი არ დასუსტდება, ინტერესი მისდამი არ გაგრილდება და ვიდრე მის კითხვას სრულებით არ მიატოვებენ... გარდა ამისა, სასჯელი წიგნზე შეზომიერდება მისგნით მოტანილ ბოროტებასთან: მავნებელი წიგნი რამდენათ მეტი ვრცელდება, იმდენათ დიდი ცოდვაა.

— ვაიმე, მამაო! მაშ მე ძალიან ცოდვილი ვყოფილვარ, რადგანაც ჩემი წიგნები ძალიან გავრცელებულია ხალხში. მიზეზი ამისა მარტო სტილი და ფორმაა, არა თუ...

— სულ ერთია, შვილო, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი: ყოველ ნაწერს თავისი ხვედრი და ვადა აქვს; დაივიწყებს ქარი ჰგლეჯს წიგნის ფურცლებს, როგორათაც ჩრდილოეთის ქარი ხის ფოთლებს.

— თქვენ უთუოთ არ იცით, მამაო, რომ ლექსთა მარცვალი წიგნს უკვდავების გვირგვინს ადგამს; მეშინია, რომ სასჯელიც საუკუნო არ მომეგოს მათი შეთხზვისათვის.

— მაინც დამისახელე, შვილო, შენი საშინელი თხზულების სათაური.

— მე მაქვს, მამაო, დრამა, სათაურით ***, რომანი, სათაურით *** და საყმაწვილო მოთხრობები, სათაურით ***.

— გიხაროდეს, შვილო! მე ერთი სიტყვაც არ გამიგონია იმათზე; ცოდვილი წიგნები ნაკლებათ ვრცელდება, ვიდრე თქვენ გგონიათ.

— ოჰ, არა, მამაო! მეორე გამოცემა მთლათ გაიყიდა.

— ეგ სულ სხვაა! მაშასადამე, მძიმე ცოდვა გქონიათ. ვინ ხართ? მეშინია, დიდი ცოდვილის სახელის გაგონებამ არ შემაკრთოს.

— ჩემი სახელი ძალიან ცნობილია, მამაო.

— მითხარით, ეგ იქნება მონანიების პირველი ნაბიჯი.

— ვერ ვბედავ.

— გაბედე, შვილო!

— მამაო, არ შეგაშინებთ ჩემი სამწუხარო სახელ-განთქმულობა?

— შვილო, სინანული ყველაფერს წმენდს!

— ჩემი სახელი... არ მოშორდებით ჩემ ლოგინს, არ მიმატოვებთ?

— არას დროს, მაშინ დავარღვევ ერთ ჩემ უწმინდეს მოვალეობათაგანს.

— მე მეძახიან... მე, რომელსაც წინეთ თავი

მომქონდა ჩემი სახელით, ახლა გამოთქმასაც ვერ ვბედავ!

— უნდა გაბედო, შეილო!

— ეგრე იყოს! მე მქვია *****.

— პირველად მესმის!

— როგორ!.. თქვენ არაფერი გაგიგიათ ***-ზე, *** და *** ავტორზე?!

— არას დროს, შეილო!

— მაშ უდაბნოში ცხოვრებულხართ?

— არა, შეილო, მეც ხშირად ვცოდავ: ახალ ლიტერატურას დიდი სიამოვნებით ვადევნებ თვალყურს. დამშვიდდი, შეილო ჩემო, თქვენი ცოდვა თქვენგანვე გაზვიადებულია. თქვენი სახელი და წიგნები თითქმის უვნებელნი არიან.

— რას ამბობთ? მეორე გამოცემას შემდეგ და გაზეთებში ქებას შემდეგ? აბა, გამოსწიეთ ეს უჯრა, მამაო, და დაინახავთ. ყველა რეცენზ-ები შევინახე.

— გარწმუნებთ, შეილო, ეგ არაფერია. ბედნიერი ყოფილხართ: თქვენ სახელს და წიგნებს სულ მცირე რამ გაუკეთებიათ; ვნება კი თითქმის სრულებით არა მოუტანიათ-რა. ისინი დარჩენილან დავიწყებაში და სიმდარეში.

— როგორ თუ! მისთვის მოხვედით აქ, რომ უსიამოვნება მომაყენოთ?

— მე, შეილო? ღმერთმა დამიფაროს! მე მოვედი დაგიმშვიდო ცოდვილს სინიდისი და დაგარწმუნო, რომ ღმერთი მოწყალეა; ბევრი ცოდვა არა გქონია-რა.

— თქვენ ამტკიცებთ, რომ მე არ მაქვს არც სახელი და არც ნიჭი?

— მე ამას არ ვამბობ, შვილო.

— თქვენი სიტყვიდან გამოდის, რომ არაფრად ღირს ჩემი პიესა, ის პიესა, რომელიც რამდენჯერმე იყო დადგმული სცენაზე და პირველსავე წარმოდგენას შემდეგ გამომიწვიეს საშინელი ტაშის-ცემით და ვაშას ძახილით; მერე კი ბენგალის ცეცხლის განათებით, ხელში აყვანილი მიმაცილეს სახლამდის.

— ადვილად შესაძლებელია; მაგრამ ეს საბუთი არ არის თქვენი შეცოდებისა.

— თქვენი აზრით, უმნიშვნელოა ის წიგნი, რომელიც ორჯელ გამოვიდა და გაზეთებმა ხოტბა შეასხეს?!

— მე გულში არ მაქვს, მაგაზე აგიხირდეთ, ან დავა დაგიწყოთ.

—ჩანს, თქვენი აზრით, ჩემი თხზულებანი ძველი წიგნების გამყიდველებს მაგიდაზე უყრიათ გაუყიდველი.

— დამშვიდდით; რასაჭიროა, რომ მაგისგულისთვის აღელდეთ.

— თქვენი აზრით, ისინი გამოდგენ მარტო ძეხვების, ლიფსიტების (თევზი) და ვაქსის კოლოფებ-ს გამოსახვევათ?

— იქონიეთ კეთილ-გონიერება და სრულებით ნუ წარმოიდგენთ მაგისთანებს.

— უმეცარი ხართ, მამაო, უსწავლელი! ვანო, მარო! აქ მოდით! ჩქარა! გაიყვანეთ ეს ჩემი სახელის შემლახველი და დამამცირებელი.

ილ. იკოთელი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

პეტერბურღი, 1-ს ივლისს ამოსული პირველი სესხის ბილეთები 65 ტირაჟის სერიის ნომრები; 15855, 16469, 11033, 13374, 15491, 16126, 9715, 374, 16311, 2684, 8651, 9849, 14764, 18387, 10217, 11667, 8024, 14288, 9542, 618, 17300, 7095, 15561, 1271, 2790, 14895, 14512, 911, 5465, 935, 2296, 4515, 19607, 5952, 16114, 8009, 4464, 8457, 14304, 1967, 1520, 2929, 17058, 18705, 4908, 4009, 5620, 17752, 15303, 19541, 16875, 14407, 13204, 14539, 11868, 16422, 14463, 2812, 16315, 9569, 751, 9339, 12329, 344, 18858, 17890, 15466, 5366, 16173, 16848, 9560, 11998, 12744, 12711, 2897, 2493, 6290, 9308, 524, 382, 2735, 5110, 10237, 9217, 12229, 11396, 17495, 15447, 7546, 4188, 1404, 15062, 19732, 19233, 1665, 798, 3195, 3301, 9579, 5819, 15958, 4756, 1105, 15851, 4074, 6075, 12632, 17594, 6157, 11200, 13992, 12269. 10988, 105, 3951, 11250, 2750, 1917, 10386, 9654, 19394, 10345, 68, 12403, 8733, 4450, 8614, 3142, 18201, 13779, 17285, 3285, 2260, 11736, 6737, 1856, 4801, 1697, 8455, 2703, 19771, 4815, 9281, 17811, 11976, 12469, 9544, 9933, 6545, 2351, 11222, 2262, 3845, 6694, 9096, 13017, 10416, 41, 6667, 17378, 5323, 129, 16029, 11622, 10895, 15813, 452, 5558, 12113, 3561, 17801, 1824, 11392, 15326, 14507, 14942, 741, 5494, 18900, 3014, 3971, 15977, 11875, 4556, 18980, 11888, 12912, 9993, 5355, 18306, 11597, 8799, 7161, 19540, 8888, 5682, 11204, 2513, 12900, 3978, 18108, 831, 12353, 437, 19819, 12875, 15688, 14083, 12115, 17208, 3093, 14447, 18220, 4077, 8454, 2700, 16760, 1561.


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს უძრავ მამულების პატრონებს, რომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა 1897 წლის 24 მარტს დაფასების ხარჯს მოუმატოს კიდევ $^1/_8$ პროცენტი გარდა იმ გადასახადისა, რომელსაც აქამდის ახდევინებდა, ე. ი. გარდა $^3/_4$%-სა. ეს მომატებული გადასახადი უნდა შეიტანონ ქალაქის გამგეობაში ამ წლის ივლისის დამლევამდე, შემდეგ-კი გადასახადს ზედ დაერთვის ჩვეულებრივი ჯარიმაც.

ამასთანავე ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ზემოხსენებულ გადასახადს მხოლოთ ამა 1897 წელს გამოართმევს მემამულეთ და ეს გადასახადი არ აღემატება დაფასების ნახევარი წლის გადასახადის მესამედს.

(3—1).